



საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

22 იანვარი 2019 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №4

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ (ს/კ 220001496) გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ. დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-246 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 9 იანვრის №02/116 წერილის საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება.

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N93-ში მდებარე შენობის მე-2 სართულზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 189,30კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.34.03.006.01.519) და მე-3 სართულზე არსებული 48,40კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.34.03.006.01.517) არასაცხოვრებელი ფართები პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“.
2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული განკარგულების გადაგზავნა მუნიციპალიტეტის მერისათვის.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N 12)

საკრებულოს თავმჯდომარე:



მამუკა წოწერია